

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „გემუანი“ დარეგისტრირებულია მისამართზე: ქ.თბილისი, აკ წერეთლის გამზ.#12ა, ბინა #35. ქარხანა მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, სოფ. ზედა ეწერში. შპს გემუანის საქმიანობის სფეროა ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება და ჩიფსების დამზადება. ასევე ფლობს პლანტაციებს ზუგდიდის რაიონში. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 48 თანამშრომელს.

2. შედგენის საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტ.) საფუძველზე.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში .

4. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, უცხოურ ვალუტაში მომზადებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქ. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამ თარიღისთვის დადგენილ კურსზე . არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო დღის კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის დღეს არსებული კურსით). საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით

მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. აქტივს ერიცხება ცვეთა მას შემდეგ, რაც შესაძლებელია მისი გამოყენება.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ბალანსში წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურეობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ერიცხება ცვეთა და იგი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება.

7. იჯარა

იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია, როგორც გაწეული ხარჯი.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები ისეთი აქტივებია, რომლების განკუთვნილია გასაყიდად, ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურეობის გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. აქტივების ღირებულება შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, რომელშიც იმყოფება.

9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

10. სასესხო ვალდებულებები

სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარებულია ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს

დანახარჯი მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას. მაშინ ეს დანახარჯი კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

11. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით.

12. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მასში გათვალისწინებულია ფასდათმობები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით.

შპს „გემუანი“-ს დირექტორი

ნონა თორდია

მთ. ბუღალტერი

ირმა ფაჩულია

შპს "გემუანი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში)

	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	65482	7464
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	285014	332360
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	28033	0
მარაგები	1181012	293277
მზა პროდუქცია	1118087	129389
სხვა	62925	163888
სხვა მოკლევადიანი აქტივები	60712	95870
სხვა არამატერიალური აქტივები	9522	13059
ძირითადი საშუალებები	2143274	1917753
სულ აქტივები	3773049	3168758
სავაჭრო ვალდებულებები	280697	277212
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	110337	75139
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	808184	1734616
სულ ვალდებულებები	1199218	2086967
კაპიტალი	6333394	4912780
დაგროვილი ზარალი	-3759563	-3830989
სულ საკუთარი კაპიტალი	2573831	1081791
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3773049	3168758

შპს "გემუანი"-ს დირექტორი

ნონა თორდია

მთ. ბუღალტერი

ირმა ფაჩულია

შპს "გემუანი"

მოგება - ზარალის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	885530	159370
სხვა საოპერაციო შემოსავალი		114994
სულ საოპერაციო შემოსავალი	885530	274364
არასაოპერაციო შემოსავალი	1198098	22193
სულ საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი	2083628	296557
გაყიდვების თვითღირებულება	823423	89616
დასაქმებულთა ანაზღაურება	235876	209148
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	117078	106410
საპროცენტო ხარჯი	204308	184141
იჯარის ხარჯი	62773	36536
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	310241	336419
სულ საოპერაციო ხარჯები	1753699	962270
დანაკარგი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	10799	147366
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	244948	
მოგების გადასახადის ხარჯი	2756	0
სულ არასაოპერაციო ხარჯი	258503	147366
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	71426	-813079

შპს "გემუანი"-ს დირექტორი
ნონა თორდია



მთ. ბუღალტერი
ირმა ფაჩულია

